პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
შპს კოლეჯი ბარაკონი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მარინა გოგოლაძე

წევრები: ინგა ბაქრაძე

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **ბარაკონი**
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**
საიდენტიფიკაციო კოდი: **204877231**
სახე **კოლეჯი**

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: მ.გოგოლაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(ქალაქი, წელი)

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების - N565; 04.07.2019 წ. საფუძველზე შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1. მარინა გოგოლაძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (თავმჯდომარე);
2. ინგა ბაქრაძე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (წევრი).

ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს კოლეჯში ,,ბარაკონი"- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი ,,საექთნო საქმის", ,,ფარმაცია (სააფთიაქო)" და ,,საოფისე საქმის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატებასთან დაკავშირებით ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 22 და 23 ივლისს.

ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ შეიმუშავა დაწესებულებაში განსახორციელებელი ვიზიტის დღის წესრიგი, შეისწავლა დაწესებულების ვებგვერდი და მასზე განთავსებული ინფორმაცია. ვიზიტამდე გაეცნო გადმოგზავნილ დოკუმენტაციას. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტი განახორციელა ქ. თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას (ყოფილი ჯიქიას) №4; (VI სართული).

პროფესიული სტუდენტები კოლეჯმა დაარსების პირველივე წელს, 1992 წელს მიიღო. 2018 წლის 13 ივლისს კოლეჯმა წარმატებით გაიარა რეავტორიზაცია და 6 წლის ვადით მიენიჭა ავტორიზაცია.

ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგის შესაბამისად. ადგილზე გადამოწმდა პროგრამების დამატებასთან დაკავშრებული მარეგულირებელი დოკუმენტაცია, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზა და სასწავლო რესურსები, რეესტრის ბაზა. მოხდა პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრება, განხორციელდა ვიზიტები საწარმოო პრაქტიკის ობიექტებზე შერჩევით და ასევე, ჩატარდა გასაუბრება პრაქტიკის განმახორციელებელ პირებთან. ექსპერტების მიერ გადამოწმდა რეესტრი, მოხდა რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრება.

დათვალიერებულ იქნა ფართი, დაზუსტდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატებასთან დაკავშირებული საკითხები, ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულებას გააცნო ვიზიტის პროცესში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქალაქი, წელი)

III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		მუხლი **6**	■	☐
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში,	მუხლი **6 /** პუნქტი ა)	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქალაქი, წელი)

	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.			
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.	მუხლი 6 / პუნქტი ბ)	■	☐
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული	მუხლი 6 / პუნქტი გ)	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქალაქი, წელი)

	საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.			
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	■	☐
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	■	☐
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	■	☐
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	■	☐
2.1	დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი,	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

(ქალაქი, წელი)

	რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:			
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)	■	☐
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)	■	☐
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;	მუხლი 7 / პუნქტი ბ)	■	☐
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების	მუხლი 7 / პუნქტი გ)	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

(ქალაქი, წელი)

	პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;			
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში;	მუხლი 7 / პუნქტი დ)	■	□
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	მუხლი 7 / პუნქტი ე)	■	□
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	მუხლი 7 / პუნქტი ვ)	■	□
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)	■	□
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)	■	□
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)	■	□
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)	■	□
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	მუხლი 7 / პუნქტი ზ)	■	□

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

_____

(ქალაქი, წელი)

2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას; მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	მუხლი 7 / პუნქტი თ)	■	☐
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	მუხლი 7 / პუნქტი ი)	■	☐
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		მუხლი 8	■	☐
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	მუხლი 8 / პუნქტი ა)	■	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის	მუხლი 8 / პუნქტი ბ)	■	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქალაქი, წელი)

	ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;			
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შეირჩევა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	მუხლი 8 / პუნქტი გ)	[redacted]	

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტების მიერ ხარვეზები არ გამოვლენილა.

VI. რეკომენდაციების შეჯამება

1.1 - სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის ,,საექთნო საქმე" კლინიკებსა და კოლეჯს შორის დადებულ ხელშეკრულებებში ტერმინი ,,კვალიფიციური სპეციალისტი" დაკორექტირდეს ჩანაწერით - ,,საექთნო განათლების ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნების შესაბამისი პირი" ან მსგავსი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქალაქი, წელი)

შინაარსის ჩანაწერით, რომელიც ექთნის კომპეტენციას დააკავშირებს ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ კლინიკურ სწავლებაში ჩართული ექთნების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან;

2.1 - სასურველია, მე-14 აუდიტორიაში, რომელიც განკუთვნილია საგანმანათლებლო პროგრამის ,,ფარმაცია (სააფთიაქო)" AC გარემოსათვის პროფესიული მოდულების განსხორციელებლად, რაც გულისხმობს ქიმიური რეაქციების ჩატარებას, სტუდენტთა და მასწავლებელთა უსაფრთხოების მიზნით, განთავსდეს ცეცხლმაქრი;

2.5 - სასურველია, კოლეჯის საქმისწარმოების წესში გათვალისწინებულ იქნას საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ,,საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და მოქმედების შესახებ" (№414; 01.07.1999 წ. კერძოდ: კარი I, მუხლი 1, მე-8, მე-9, მე-10; თავი II, მუხლი 28-ე პუნქტი 1 და მე-2; თავი II, მუხლი 38-ე და 49-ე მუხლები) განსაზღვრული მოთხოვნები, რაც გულისხმობს დოკუმენტების, მ.შ. მმართველობითი ხასიათი დოკუმენტების დაყოფას უნიფიცირებული სისტემების, საქმეთა ტიპობრივი ნომენკლატურების ინდექსების მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქალაქი, წელი)

VII. დაწესებულების მისია

,,მოამზადოს კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც კონკურენტუნარიანნი იქნებიან შრომის ბაზარზე. ამისათვის კოლეჯი მიაწოდებს თავის პროფესიულ სტუდენტებს საქართველოს პროფესიული განათლების მიზნებისა და პროფესიული სტანდარტების შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებს, უზრუნველყოფს მათთვის სათანადო სასწავლო გარემოს შექმნას და მისცემს საკუთარი ცოდნისა და უნარების სრულად რეალიზების საშუალებას".

კოლეჯის მიზანია:
საქართველოს მოსახლეობის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, შრომის ბაზარზე მისი კონკურენტუნარიანობის გაზრდა.

დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს და არის საჯაროდ ხელმისაწვდომი.

სტანდარტების შეფასება

1. **საგანმანათლებლო პროგრამები**

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქალაქი, წელი)

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის მიზნებიდან გამომდინარე, გადამოწმდა კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები - **საოფისე საქმე, საექთნო საქმე, ფარმაცია (სააფთიაქო)**, რომელთა დამატებასაც გეგმავს კოლეჯი. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის - კოლეჯის დირექტორის მიერ, რაც განსაზღვრულია შპს ბარაკონი საზოგადოებრივი კოლეჯის წესდებით (II თავი, მე-6 მუხლი, ,,ვ" პუნქტი დამფუძნებელთა საერთო კრების ოქმი №3; 20.09.2018 წ. ბრძანება №36; 17.06.2019 წ).

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ,,პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების წესი (ბრძანება №73; 10.12.2018წ.), რომელშიც განხილულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის შემუშავების, ცვლილებების, დამტკიცებისა და დამატების პროცედურა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

განვიხილავთ პროგრამებს - **საოფისე საქმე, საექთნო საქმე, ფარმაცია (სააფთიაქო)** ცალ-ცალკე, რომელთა დამატებაც სურს დაწესებულებას.

საოფისე საქმე

პროგრამა შემუშავებულია საოფისე საქმისა და ღონისძიების ორგანიზება / Office Work and Event Management, ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე. (სარეგისტრაციო ნომერი 04119-პ). მისანიჭებელი კვალიფიკაცია საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია საოფისე საქმეში / Secondary Vocational Qualification in Office Work. კოდი 0415.

პროგრამა დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით (№36; 17.06.2019 წ). მასში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. პროგრამასთან ერთად წარმოდგენილია დანართები (ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

(ქალაქი, წელი)

პერსონალის შესახებ,ინფორმაცია აღჭურვილობის შესახებ, სასწავლო გეგმა და პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდული).

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება (ბრძანება №33; 17.06.2019წ.), რომელიც დაფუძნებულია შრომის ბაზრის მოთხოვნებზე და კოლეჯის კურსდამთავრებულთა დასაქმების მზარდ მაჩვენებელზე. შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიების ჩამონათვალშია **საოფისე საქმე.**

ამასთან, კოლეჯმა გაითვალისწინა საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამა", რომელიც 2015 წლიდან ყოველწლიურად ხორციელდება. შესაბამისად, მიზანშეწონილად ჩათვალა, საოფისე საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატება საგნობრივი პროგრამის ჩანაცვლების მიზნით.

პროგრამა და მოდულები ადაპტირებულია რეკომენდაციების დაცვით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმებში სტუდენტთა დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. მოდულების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები. სასწავლო გეგმა აგებულია ისე, რომ გათვალისწინებულია წინმსწრები მოდულის სწავლების შედეგების განმეორებით დადასტურების შესაძლებლობა.

პროგრამის მოცულობა შეადგენს - ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის: 59 კრედიტს, არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის: 89 კრედიტს. პროგრამის ხანგრძლივობა - ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 45 კვირა. არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის 68 კვირა. პროგრამა მოიცავს 5 ზოგად მოდულს (15 კრედიტის მოცულობით), 1 საერთო პროფესიულ მოდულს (5 კრედიტის მოცულობით) და 14 პროფესიულ მოდულს (39 კრედიტის მოცულობით).

დაწესებულება გეგმავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **საოფისე საქმე** განხორციელებას სამ ცვლაში (70 სტუდენტი).

კოლეჯის დირექტორის ბრძანებით (№07; 23.01.2018 წ. და ცვლილება №34; 17.06.2019წ.) დამტკიცებულია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,**საოფისე საქმე** პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება: **A** სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა; კოლეჯს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის **საოფისე საქმე,** აქვს ორი **A** - გარემო. ა) **A** (ერთცვლიანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქალაქი, წელი)

სწავლების პირობებში აუდიტორია №9-ის რესურსი გამოყენებული იქნება 30 პროფესიული სტუდენტისთვის, ხოლო აუდიტორია №11 გათვალისწინებულია ორცვლიანი სწავლებისთვის და ჯამში მისი რესურსი შეადგენს 40 პროფესიულ სტუდენტს). B სასწავლო გარემო - კომპიუტერული ლაბორატორია (აუდიტორია №6 - 20 კომპიუტერით (ორი 20-20 კაციანი ჯგუფი), №16 აუდიტორია 10 კომპიუტერით (ორი 10-10 კაციანი ჯგუფი) და მესამე ცვლის 10-10 კაციანი ჯგუფი №16 აუდიტორიაში.

კოლეჯი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულია (ბრძანება №32; 10.06.2019 წ.) საგანმანათლებლო პროგრამებისთვის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული კომპონენტის გავლის ინსტრუქცია (მუხლი 4. 5. 6. 7).
დაწესებულებას, საწარმოო პრაქტიკის განხორციელების მიზნით, რომლის პროცესშიც ჩართული იქნება პრაქტიკის ინსტრუქტორი, გაფორმებული აქვს მემორანდუმები/ხელშეკრულებები საწარმოო პრაქტიკის ობექტებთან, კერძოდ:

- ✓ სსიპ ქ. თბილისის №71 საჯარო სკოლა, მემორანდუმი - №5-18/19; 30.052019; კოლეჯთან ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. მოდული - ,,გაცნობითი პრაქტიკა - საოფისე საქმე", საწარმოო პრაქტიკა - საოფისე საქმე", ვადა 5 წელი, ,,პრაქტიკის გავლის მიზნით სკოლა სტუდენტთა მიღებას უზრუნველყოფს სკოლისათვის თავისუფალი კვოტის ფარგლებში სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სტაჟირებისა და სასწავლო პრაქტიკის გავლისა და წესის შესაბამისად" (მუხ. 8, პ-ი 8.2);
- ✓ სსიპ ქ. თბილისის №87 საჯარო სკოლა, ხელშეკრულება - №5-10/19; 27.052019 წ. მოდული - ,,გაცნობითი პრაქტიკა - საოფისე საქმე", საწარმოო პრაქტიკა - საოფისე საქმე", ვადა 3 წელი, 10 პროფესიული სტუდენტი;
- ✓ სსიპ ქ. თბილისის №209 საჯარო სკოლა, ხელშეკრულება - №5-11/19; 27.052019 წ. მოდული - ,,გაცნობითი პრაქტიკა - საოფისე საქმე", საწარმოო პრაქტიკა - საოფისე საქმე", ვადა 5 წელი, 10 პროფესიული სტუდენტი;
- ✓ შპს ევროპის უნივერსიტეტი, ხელშეკრულება - №5-17/19; 30.052019 წ. მოდული - ,,გაცნობითი პრაქტიკა - საოფისე საქმე", საწარმოო პრაქტიკა - საოფისე საქმე", ვადა 3 წელი, 20 პროფესიული სტუდენტი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

(ქალაქი, წელი)

- ✓ სსიპ ქ. თბილისის №84 საჯარო სკოლა, ხელშეკრულება - №5-12/19; 27.052019 წ. მოდული - ,,გაცნობითი პრაქტიკა - საოფისე საქმე", საწარმოო პრაქტიკა - საოფისე საქმე", ვადა 5 წელი, 5 პროფესიული სტუდენტი.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო საქმე

კოლეჯში პრაქტიკოსი ექთნის საგნობრივი პროგრამა 1992 წლიდან, კოლეჯის დაარსების დღიდან ხორციელდება. დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება (ბრძანება №33; 17.06.2019წ.), რომელშიც ასახული და გათვალისწინებულია კვლევის ანგარიში "მედდების საქმიანობის გარემოს მახასიათებლები და სამუშაოთი კმაყოფილება საქართველოში". ამასთან, გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნები და აღწერილია სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები, რომელის თანახმადაც ექთნების დეფიციტია. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, ექთნებისა და ექიმის თანაფარდობა 4:1-ზე უნდა იყოს, ანუ 4 ექთანზე 1 ექიმი უნდა მოდიოდეს, მაშინ როდესაც ექთნისა და ექიმის თანაფარდობა ერთსაც არ უტოლდება, ანუ ერთ ექიმზე ერთი ექთანიც ვერ მოდის. შესაბამისად, ჯანდაცვის სისტემა და მოსახლეობისთვის მიწოდებული მომსახურება არსებითადაა დამოკიდებული ქსელში მომუშავე კადრების რაოდენობაზე, მათ მომზადებასა და შენარჩუნებაზე.

დღევანდელი მდგომარეობით საქართველოში 13,000-ზე მეტი ექთანია დასაქმებული. ხარისხიანი მუშაობისათვის კი, სპეციალისტების აზრით, საჭიროა ამ ციფრის 30,000-მდე გაზრდა, ხოლო ევროპული მაჩვენებლის მისაღწევად წელიწადში 1,400-მდე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს კოლეჯის მიერ საექთნო საქმის საგანმანათლებლო პროგრამის დამატება.

საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო საქმე დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით (N36; 17.06.2019 წ.). საგანმანათლებლო.პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე - საექთნო საქმე / Nursing

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქალაქი, წელი)

მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე:

ა) ასოცირებული ხარისხი საექთნო საქმეში/Associate Degree in Nursing (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან) - კოდი 0913.

ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/Fifth Level Vocational Qualification in Nursing (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი[1]) - კოდი 090554.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის: მოცულობა: 180 კრედიტი; ხანგრძლივობა: 134 სასწავლო კვირა/34 სასწავლო თვე.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის: მოცულობა: 210 კრედიტი; ხანგრძლივობა: 160 სასწავლო კვირა/40 სასწავლო თვე.

პროგრამაში განსაზღვრულია - პროგრამის სარეგისტრაციო ნომერი და სახელწოდება, მიზანი, დაშვების წინაპირობა, დასაქმების სფერო და შესაძლებლობები, სტრუქტურა და მოდულები, მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება (საექთნო საქმეში კვალიფიკაციის მინიჭებისთვის სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროგრმით განსაზღვრული 180 კრედიტი და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა), სსსმ და შშმ პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის, კლინიკური სწავლების განხორციელების თავისებურებები და განმახორციელებელი პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ინფორმაცია ქართული ენის კომპეტენციის შესახებ, პრაქტიკის ობიექტის კრიტერიუმები, ჩარჩოდოკუმენტის შემუშავების საფუძვლები, პროფესიული სტანდარტი, ინფორმაცია დანართების შესახებ (დანართების/მოდულების ნუსხა).

პროგრამასთან ერთად წარმოდგენილია დანართები (ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ, ინფორმაცია აღჭურვილობის შესახებ, სასწავლო გეგმა და პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდული).

დაწესებულება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე **საექთნო საქმე** ითხოვს 105 სტუდენტს, რომელთა მიღებას განახორციელებს (პროგრამის ხანგრძლივობიდან გამომდინარე - 3 წელი), 3 წლის განმავლობაში ყოველწლიურად 35-35 სტუდენტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------

(ქალაქი, წელი)

საგანმანათლებლო პროგრამის საექთნო საქმე პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დადებული ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან:

- ✓ სს ,,ევექსის ჰოსპიტლები", ხელშეკრულება - N5-21/19. დადებულია 10 06. 2019 - განუსაზღვრელი ვადით; კლინიკური სწავლების ყველა მოდული (90 სტუდენტი ერთდროულად);
- ✓ საქველმოქმედო ფონდი კარიტასი ხელშეკრულება N5-04/19 დადებულია 23.06.2019-2026 წლის 1 იანვრამდე (42 სტუდენტი ერთდროულად); მოდულები: გერონტოლოგია და გერიატრიის საფუძვლები, ავადმყოფის მოვლა, შინმოვლა (თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის სრული განხორციელება);
- ✓ სს, ინფექციური პათოლოგიის შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის სამედიცინო პრაქტიკული ცენტრი"; ხელშეკრულება N5-20/19, დადებულია 05.06.2019-(1 სასწავლო წლის განმავლობაში 42 სტუდენტი) მოდულები: 1. კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა. 2. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა. 3. კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა, 4. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
- ✓ შპს თბილისის პედიატრიული პრივატ კლინიკა ხელშეკრულება N5-16/19, დადებულია 29.05.2019წ-6 წელი (ერთ ეტაპზე 21 და სასწავლო წლის განმავლობში 42 სტუდენტი) - მოდულები: 1. კლინიკური პრაქტიკა-პედიატრია და მოზარდები. 2.შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-პედიატრია და მოზარდები. 3. კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა, 4. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა, 5. კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა, 6. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა; 7. კლინიკური პრაქტიკა- გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა, 8. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა- გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა, 9. კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა, 10. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა;
- ✓ შპს ,,პინეო სამედიცინო ეკოსისტემა" ხელშეკრულება N5-06.19, დადებულია 26.03.2019 ვადა 6 წელი; მოდულები: 1. კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა; 2. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა; 3.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქალაქი, წელი)

კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა; 4. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა; 5. კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა; 6. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა; 7. კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა; 8. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა; 9. კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა; 10. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;

- ✓ შპს ,,ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი" ხელშეკრულება N5-15/19 დადებულია 29.05.2019 ვადა 6 წელი (ერთ ეტაპზე 21 და სასწავლო წლის განმავლობაში 42 სტუდენტი) 1. კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია; 2. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია;
- ✓ შპს თბილისის ცენტრალური საავადმყოფო ხელშეკრულება N5-07/19, დადებულია 19.04.2019 6 წლით (ერთ ეტაპზე 14 სტუდენტი, სასწავლო წლის განმავლობაში-42). 1. კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა; 2. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა; 3. კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა; 4. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა; 5. კლინიკური პრაქტიკა- გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა; 6. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა- გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა; 7. კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა; 8. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა; 9. კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიურიპაციენტის საექთნო მართვა; 10. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;
- ✓ შპს ,,ალ. წულუკიძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრი, ხელშეკრულება N5-22.19 დადებულია 10.06.2019, 6 წლით (ერთ ეტაპზე 21 სტუდენტი, სასწავლო წლის განმავლობაში - 42); მოდულები 1. კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა; 2. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა; 3. კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა; 4. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქალაქი, წელი)

კოლეჯს პრაქტიკის ობიექტებთან დადებული აქვს ხელშეკრულებები, რომლებიც მოიცავს ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ პირობებს: თანაფარდობა 1/7; პირადი დაცვის საშუალებებით სტუდენტთა უზრუნველყოფის საკითხები. ევექსის ჰოსპიტლებთან ხელშეკრულების 2.2.2 და ასევე, კოლეჯსა და პრაქტიკის სხვა ობიექტებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-5 მუხლის მე-2 პ-ით კლინიკა ვალდებულია გამოყოს თავისი თანამშრომლიდან კვალიფიციურ სპეციალისტები, სპეციალური კომპეტენციისა და უნარჩვევების მქონე კადრი-პრაქტიკის ინსტრუქტორი, რომელთანაც ამავდროულაად კოლეჯი ვალდებულია გააფორმოს მომსახურების ხელშეკრულება. ექთნის მიმართ წაყენებული ყველა მოთხოვნა გაწერილია პრაქტიკის ინსტრუქტორთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში.

სასურველია, ხელშეკრულებებში ტერმინი ,,კვალიფიციური სპეციალისტი" დაკორექტირდეს ჩანაწერით - ,,საექთნო განათლების ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნების შესაბამისი პირი" ან მსგავსი შინაარსის ჩანაწერი, რომელიც ექთნის კომპეტენციას დააკავშირებს ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ კლინიკურ სწავლებაში ჩართული ექთნების საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

სასწავლო გეგმა კლინიკური მოდულების დაფუძნებულია 1/7 თანაფარდობაზე. მოთხოვნილი რაოდენობიდან გამომდინარე, თითოეული 7კაციანი ჯგუფისთვის შემუშავებულია სასწავლო გეგმა. ამასთან, დაცულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები. შესაბამისად, სასწავლო გეგმა იძლევა შესაძლებლობას, რომ ამ ჯგუფებმა ერთმანეთის პარალელურად გაიარონ სხვადასხვა მოდულები ერთმანეთის ჩანაცვლების პრინციპით.

საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია (სააფთიაქო)

კოლეჯი წლებია თანამშრომლობს (ფარმაცევტის თანაშემწის საგნობრივი პროგრამა ხორციელდება 2000 წლიდან) შპს „ავერსი-ფარმა"-სთან, სადაც კურსდამთავრებულები სისტემატიურად საქმდებიან. ასევე, აღნიშნული თანამშრომლობა გრძელდება ფარმაცია (სააფთიაქო) საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. შპს „ავერსი-ფარმა"-ს სააფთიაქო ქსელში მათი წარმომადგენლების მიერ (პროგრამის ფარგლებში პრაქტიკის ინსტრუქტორები) განხორციელდება 8 პროფესიული მოდული.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება (ბრძანება №33; 17.06.2019წ.), რომლის მიხედვითაც პროფესიული განათლების მქონე დასაქმებულ ფარმაცევტთა რაოდენობა დაახლოებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქალაქი, წელი)

3000-ია. ამავე კვლევის ანგარიშით, დასაქმების მაჩვენებლის მკვეთრი ზრდა დაფიქსირდა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დახმარების სფეროში, რომელიც დასაქმების მხრივ ასევე, წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ ეკონომიკურ სფეროს.
ზემოაღნიშნული გარემოებები განაპირობებს საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარმაცევტის თანაშემწის ჩანაცვლებას საგანმანათლებლო პროგრამით ფარმაცია (სააფთიაქო).

საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია (სააფთიაქო) - დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N36; 17.06.2019წ. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულ და ინგლისურ ენაზე - ფარმაცია (სააფთიაქო) / Pharmacy. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე:
ა) ასოცირებული ხარისხი ფარმაციაში / Associate Degree in Pharmacy (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან) კოდი 0916.
ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში/Fifth Level Vocational Qualification in Pharmacy (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი[2]). კოდი 090352.
მოცულობა: 120 კრედიტი; ხანგრძლივობა: 21 სასწავლო თვე / 85 სასწავლო კვირა.
პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის 150 კრედიტი; ხანგრძლივობა: 28 სასწავლო თვე/111 სასწავლო კვირა.

პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სარეგისტრაციო ნომერი და სახელწოდება, მიზანი, დაშვების წინაპირობა, დასაქმების სფერო და შესაძლებლობები, სტრუქტურა და მოდულები, მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სსსმ და შშმ პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის, ინფორმაცია ქართული ენის კომპეტენციის შესახებ, პრაქტიკის ობიექტის კრიტერიუმები, ჩარჩოდოკუმენტის შემუშავების საფუძვლები, პროფესიული სტანდარტი, ინფორმაცია დანართების შესახებ (დანართების/მოდულების ნუსხა),

---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

(ქალაქი, წელი)

პროგრამასთან ერთად წარმოდგენილია დანართები (ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ,ინფორმაცია აღჭურვილობის შესახებ, სასწავლო გეგმა და პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდული).

პროგრამა და მოდულები ადაპტირებულია რეკომენდაციების დაცვით. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმებში სტუდენტთა დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. მოდულების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები. სასწავლო გეგმა აგებულია ისე, რომ გათვალისწინებულია წინმსწრები მოდულის სწავლების შედეგების განმეორებით დადასტურების შესაძლებლობა.

დაწესებულება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამზე **ფარმაცია (სააფთიაქო)** ითხოვს 40 სტუდნტის მიღებას, რომელთა სწავლებას განახორციელებს (პროგრამის ხანგრძლივობიდან გამომდინარე - 2 წელი), 20-20 სტუდენტი წელიწადში.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარმაცია (სააფთიაქო) პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს ,,ავერსი-ფარმასთან", ხელშეკულების შესრულების ადგილია ,,ავერსი ფარმას" სააფთიაქო ქსელი. ხელშეკრულების პირობების თანახმად, სწავლებისას პროფესიული სტუდენტების რაოდენობა ერთ ეტაპზე შეადგენს 20 სტუდენტს, ხოლო ერთი წლის განმავლობაში 40 სტუდენტს.

- ✓ შპს ,,ავერსი-ფარმა" ხელშეკრულება N5-09/19, დადებულია 6 წლით. შეთანხმების საგანი 8 პროფესიული მოდულის განხორციელება.

  1. მომხმრებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა; 2. მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებაში; 3. მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა; 4. მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა; 5. მომხმარებლისთვის მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა; 6. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში; 7. პროდუქციის მიღება-განთავსება ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება; 8. მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება, შეფუთვა მარკირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----

(ქალაქი, წელი)

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმებულ იქნა პრაქტიკის ობიექტები შერჩევით, მოხდა გასაუბრება მათ წარმომადგენლებთან, კერძოდ:

- ✓ შპს ევროპის უნივერსიტეტი - **საოფისე საქმე;**
- ✓ შპს ავერსი ფარმა - **ფარმაცია (სააფთიაქო)**;
- ✓ სს, ინფექციური პათოლოგიის შიდსის და კლინიკური იმუნოლოგიის სამედიცინო პრაქტიკული ცენტრი - **საექთნო საქმე**.

გადამოწმებისას დადასტურდა, რომ აღნიშნული ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე შესაძლებელია პრაქტიკის კომპონენტის განხორციელება კოლეჯის მიერ მოთხოვნილი კვოტის შესაბამისად. პარტნიორი დაწესებულებები მზაობას გამოხატავენ, მიიღონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რაოდენობის პროფესიული სტუდენტები და უზრუნველყონ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება მათ დაწესებულებებში.

ასევე, ვიზიტის დროს ჩატარდა ინტერვიუ პროგრამების ხელმძღვანელებთან და განმახორციელებელ პირებთან. გასაუბრებით დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელ პირებს მონაწილეობა აქვთ მიღებული პროგრამების შესაბამისი მოდულების შემუშავებაში, იცნობენ სასწავლო და მატერიალურ რესურსებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით;
- ✓ წესდებით (II თავი, მე-6 მუხლი, ,,ვ" პუნქტი დამფუძნებელთა საერთო კრების ოქმი №3; 20.09.2018 წ. ბრძანება №36; 17.06.2019 წ);
- ✓ დირექტორის ბრძანებებით - (ბრძანება №32; 10.06.2019 წ.;№33; 17.06.2019წ. ბრძანება №36; 17.06.2019 წ.; №07; 23.01.2018 წ. და ცვლილება №34; 17.06.2019წ.);
- ✓ პრაქტიკის ობიექტებთან დადებული ხელშეკრულებებით/მემორანდუმებით;
- ✓ პრაქტიკის ინსტრუქციით - (ბრძანება №32; 10.06.2019 წ.);
- ✓ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით;
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტით;
- ✓ ინტერვიურებით განმახორციელებელ პირებთან, პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან და ინსტრუქტორებთან.
- ✓

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

(ქალაქი, წელი)

■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯში შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების 2019-2020 სასწავლო წლის კატალოგი, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე/პროგრამებზე აპლიკანტთა ჩარიცხვის პროცედურის, წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესახებ. კატალოგი განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე.
კოლეჯში ჩარისცხვის მსურველთა დოკუმენტაციას ამოწმებს კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მიმღები კომისია.
კატალოგში ასევე, მოცემულია საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პოგრამები, რომელსაც დაწესებულება მილევად რეჟიმში ახორციელებს.
